კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ლაშა კანთელაშვილი

ევროკავშირის და აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ეუთოს ფარგლებში და პოსტსაბჭოთა კონფლიქტები

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორის აკადემიური ხარისხის

მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი, 0141, საქართველო

2024

სამეცნიერო ნაშრომი შესრულებულია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

სოსო ვახტანგაშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დავით ტაბატაძე

საერთაშორისო ურთიერთობების და ევროპათმცოდნეობის დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ოფიციალური რეცენზენტები:

ვახტანგ მაისაია

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი.

ქეთევან ჯიჯეიშვილი

პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

დისერტაციის დაცვა შედგება 2024 წლის 22 მაისს, 14:00 საათზე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.

მისამართი: 0141, თბილისი, ჩარგლის ქუჩა N73, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, 305 აუდიტორია.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: პეტრე მამრაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალურობა

საქართველოს მიერ რუსეთის გავლენის სფეროდან თავის დახწევის და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში თავის დამკვიდრების მცდელობების კვალდაკვალ სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში მწვავედ დგას ევროკავშირის და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, შინაარსისა და ფორმების დამახასიათებელი ნიშნების კვლევა. სამხრეთ კავკასიის, განსაკუთრებით საქართველოს მიმართ ევროკავშირის და აშშ-ის დაინტერესების მიზეზების და მათი გეოპოლიტიკური ინტერესების ამოცნობა დღემდე აქტუალურ პრობლემათა შორის დგას.

პოსტსაბჭოთა კონფლიქტები არაა შესწავლილი ეუთოს კონტექსტში. ეუთოს ბაზაში იძებნება უამრავი დოკუმენტური მასალა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებზე, რაც მეცნიერულად შეუსწავლელია.

ქართველ მეცნიერთა კვლევებსა და მონოგრაფიებში გაანალიზებულია ქართულ-ოსური და ქართულ აფხაზური დაპირისპირება და საკითხი არაა შესწავლილი საერთაშორისო ურთიერთობების პრიზმიდან. დაკვირვება

ცხახყოფს, რომ არსებულ კვლევებში პოსტსაბჭოთა კონფლიქტები დაყვანილია ეთნიკური ან/და ლოკალური დონის დაპირისპირებამდე და სრულადაა უგულვებელყოფილი კონფლიქტის საერთაშორისო განზომილება, რაც ართულებს კონფლიქტების სისტემურ ანალიზს და შესაბამისად მათი მოგვარების პერსპექტივების ძიებას. სინამდვილეში პოსტსაბჭოთა კონფლიქტები არ არის მხოლოდ ეთნიკური ან/და ტერიტორიული სახის, არამედ ისინი წლების მანძილზე ფორმირდებოდა მსოფლიო პოლიტიკის მთავარ მოთამაშეებს შორის სასიცოცხლო გეოპოლიტიკური სიცრცეების ასათვისებლად მიმდინარე დაპირისპირების შედეგად. თემის აქტუალობას, ასევე განაპირობებს მოცემულობა, რომ კონფლიქტები დღემდე მოუგვარებელია და ღრმავდება.

საკვლევი პრობლემის ძიება განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან პოსტსაბჭოთა კონფლიქტები განახლდა. 2022 წელს პოსტსაბჭოთა სივრცეში დაიწყო რუსეთ-უკრაინის სრულმასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება. აქამდე არსებული კვლევები სრულყოფილად ვეღარ ასახავს საკვანძო გარემოებებს. ეპოქალურმა დისკურსმა განაპირობა პრობლემის სხვა კუთხით დასმა და საკვლევი თემის აქტუალობა.

სამეცნიერო ლიტარატურაში აშშ-ის და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა კომპლექსურადაა შესწავლილი, თუმცა მათი ურთიერმიმართება პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან უდავოდ დასადგენია. წინამდებარე ნაშრომი შეავსებს არსებულ სიცარიელეს.

საქართველოში კონფლიქტების მეცნიერულ დონეზე შესწავლას არ ეთმობა სათანადო ყურადღება, რაზეც ლიტერატურის სიმწირე მიუთითებს. სამეცნიერო კვლევის დღის წესრიგში დგას მიუკერძოებლად, საარქივო მასალებისა და სხვადასხვა ობიექტურ წყაროებზე დაყრდნობით საქართველოს მიმართ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად აქტორთა საგარეო პოლიტიკის რეალური ზრახვების ამოცნობა, რათა არ დარჩეს ადგილი მეცნიერულიად არაობიექტური და პოლიტიკურად მიკერძოებული ინტერპრეტაციებისთვის.

2025 წელს ეუთოს დაარსებიდან 50 წელი უსრულდება და სამეცნიერო-პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა მოლოდინები არსებობს ორგანიზაციის მიმართ და რამდენად შეინარჩუნებს ეუთო ლეგიტიმაციას.

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის ძირითადი მიზანია აშშ-ის და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის მიზნების, პრიორიტეტებისა და ფორმების კვლევა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში ეუთოს ფარგლებში.

კვლევის მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი

ამოცანები:

- „საგარეო პოლიტიკის ანალიზის“ აპრობირებული მეთოდების აღწერა.
- ეუთოს ყოვლისმომცველი უსაფრთხოების მოდელის თეორიულ-კონცეპტუალური საკითხების მიმოხილვა.
- ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი;
- ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უკრაინის ტერიტორიაზე განვითარებული კონფლიქტების ანალიზი;

- აშშ-ის საგარეო პოლიტიკისა და საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი;
- აშშ-ის საგარეო პოლიტიკისა და უკრაინის ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტების ანალიზი;
- ეუთოში შეერთებული შტატების და ევროკავშირის დიპლომატიური მისიების საქმიანობის შესწავლა და მათი განცხადებების კონტენტ და დისკურს ანალიზი;
- საქართველოსა და უკრაინაში არსებული კონფლიქტების კანონზომიერების სიბრტყეზე გააზრება და ძირითადი ტენდენციების განზოგადება პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებულ სხვა კონფლიქტებზე.
- კვლევის მეთოდების ანალიზის დონეების და ფორმების გამოყენების შედეგად არა კონკრეტული განცხადებების რაოდენობრივი მაჩვენებლების დაანგარიშება თუ რამდენად ხშირად აკეთებდნენ შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მაღალი რანგის პირები განცხადებებს კონფლიქტებთან მიმართებაში, არამედ კვლევის ამოცანაა ტენდენციის გამოკვეთა.

ნაშრომის ძირითადი საკვლევი კითხვები

- რა ისტორიულმა და თეორიულმა წანამძღვრებმა განაპირობა ეუთოს ფორმირება და რამდენად ლეგიტიმურია ორგანიზაცია თანამედროვე გამოწვევების ფონზე?

- როგორ და რამდენად ხსნის ევროკავშირის ურთიერთობა ეუთოსთან მის მიერ პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში აბსტრაქტული ტერმინებით გამოხატული საგარეო პოლიტიკური მიზნების ფონზე, საგარეო პოლიტიკური მოქმედების მიღმა არსებული მიზნებისა და პრიორიტეტების ამოცნობას?

- რა თავისებურებებით ხასიათდება აშშ-ის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში და რამდენად განსხვავდება მისი გაცხადებული ზოგადი საგარეო პოლიტიკის დისკურსი ეუთოს ფორმატში დოკუმენტებზე აღბეჭდილი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, შინაარსისა და ფორმებისაგან?

ნაშრომის ჰიპოთეზებია:

H1: ეუთოს ჩამოყალიბება, რაც განპირობებული იყო მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურის რამდენადმე პოზიტიურად გარდაქმნის მოლოდინით, მნიშვნელოვნად დადებით გავლენას ახდენს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე.

H2: მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობების განვითარება ევროკავშირის ზოგიერთ წევრ სახელმწიფოს და რუსეთს შორის ამცირებს ევროკავშირის ეფექტური საგარეო პოლიტიკური ამოცანების განხორციელებას პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში.

(ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის თავისებურებანი პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში გააზრებულ უნდა იქნას ევროკავშირ-რუსეთის ურთიერთობების ფონზე. ევროკავშირის ეკონომიკური დახმარებისა და პროექტების დაფინანსების მექანიზმები წარმატებულია, თუმცა პოლიტიკური დონეზე ჩართულობა მოკლებულია ყოვლისმომცველ სტრატეგიულ ხედვასა და მიდგომას. ევროკავშირში მიიჩნევენ, რომ რუსეთთან გარკვეულწილად ახლო ურთიერთობები უალტერნატივოა. ევროკავშირის ცალკეული წევრი ქვეყნების ისტორიულმა და თანამედროვე ურთიერთობებმა რუსეთთან მნიშვნელოვნად გაართულა ევროკავშირის ეფექტური გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების პროცესი პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში. ევროკავშირის რამდენიმე წევრი ქვეყნის შიდა ინტერესთა ჯგუფები აქტიურად ლობირებენ რუსეთის

არგაღიზიანების პოლიტიკას რათა ამან პოზიტიური გავლენა მოახდინოს მათ ბიზნეს ინტერესებზე რუსეთში. ევროპულ კომპანიებს აქვთ დიდი ბიზნეს ინტერესები რუსეთში და მათთვის მიუღებელია რუსეთის კრიტიკა ადამიანის უფლებების დაცვის და პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში რუსეთის დანაშაულებების კუთხით. არ არსებობს საპირწონე ბიზნეს ლობი, რომელიც მხარს დაუჭერს ევროკავშირის უფრო აქტიურ პოლიტიკას პოტსაბჭოთა ქვეყნებში).

H3: ევროკავშირის და აშშ-ის საგარეო პოლიტიკური მიზნებები პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში გამოხატულია აბსტრაქტული ტერმინებით, გაცხადებული საგარეო პოლიტიკის დისკურსი ზოგადია და განსხვავდება საგარეო პოლიტიკური მოქმედების მიღმა არსებული მიზნებისა და პრიორიტეტებისგან.

კვლევის საგანი და ობიექტი

კვლევის საგანია ევროკავშირის და აშშ-ის საგარეო პოლიტიკური პოზიციების (ეუთოს ფარგლებში) კვლევა პოსტსაბჭოთა პოლიტიკურ კონფლიქტებთან ურთიერთმიმართებაში და კონფლიქტების საერთაშორისო განზომილებების წარმოჩენა.

კვლევის ობიექტია ეუთოში ევროკავშირის და აშშ-ის დელეგაციების როლი, განცხადებები და საქმიანობა პოსტსაბჭოთა პოლიტიკური კონფლიქტების კონტექსტში.

მეცნიერული სიახლე

თემის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს კვლევისთვის რელავანტურ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის არა მხოლოდ აპრობირებული მეთოდოლოგიით გაანალიზებაში, არამედ მათი საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის, ასევე მათი დიპლომატიური მისიებისა და მაღალი დონის სამთავრობო დელეგაციების საქმიანობის და განცხადებების შესწავლის მცდელობაში, რისთვისაც კონტენტ და დისკურს ანალიზით შესწავლილ იქნა ეუთოს ელექტრუნულ არქივში არსებული 200-მდე განცხადება.

პირველად ქართულენოვან სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულია საქართველოსა და უკრაინის მიმართ აშშ-ის საგარეო პოლიტიკის შედარებითი ანალიზი.

ნაშრომში გაანალიზებულია ეუთოს რეგიონის ფორმირების თეორიული ასპექტები და სახელმწიფოთა თანამშრომლობის ეტაპები. გამოიკვეთა, რომ ეუთო არის საერთაშორისო ორგანიზაციის ერთგვარი სიმულაციური მოდელი, თუმცა

ნაკლოვანებების მიუხედავად, მნიშვნელოვნად დადებით გავლენას ახდენს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე.

გამოიკვეთა, რომ ევროკავშირის ჩართულობა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში მოკლებულია ყოვლისმომცველ სტრატეგიულ ხედვას. ევროპული სახელმწიფოებისთვის, რომლებიც შორს მდებარეობენ სამხრეთ კავკასიისგან არ აქვთ დიდი ბიზნეს ინტერესები აღმოსავლეთ სამეზობლოში, შესაბამისად მათთვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების პრობლემები არც თუ ისე მნიშვნელოვანია.

გამოიკვეთა, რომ სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარება ვაშინგტონისთვის არ წარმოადგენს სასიცოცხლო ინტერესის საგანს.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ნაშრომს აქვს როგორც თეორიული ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. დღემდე არ არსებობს თოერიული მოდელი, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის პოსტსაბჭოთა კონფლიქტების საერთაშორისო განზომილების ასპექტებს.

აღნიშნული ნაშრომი იყო მცდელობა მომხდარიყო მსგავსი მოდელის შექმნა ეუთოს უსაფრთხოების სისტემის ანალიზის კონტექსტში. ნაშრომი შესაძლებლობას მისცემს სხვა მკვლევრებს მათ ნაშრომებს საფუძვლად დაუდონ სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული ნააზრევი.

კვლევის მეთოდები

ნაშრომში გამოყენებულია **თვისებრივი კვლევის მეთოდები.** მათ შორის ეუთოს დოკუმენტების:

- **კონტენტ და დისკურს ანალიზი.**

პოსტსაბჭოთა კონფლიქტების შესწავლისას გამოყენებულია:

- **შემთხვების შესწავლა (case-study),** სადაც აღებულია საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტების შემთხვევები და შედეგები განზოგადებულია პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა კონფლიქტებზე.

ნაშრომი იყენებს შემდეგ ანალიზის ტიპებს:

- **ისტორიულ-შედარებითი;**
- **სისტემურ-სტრუქტურული;**

- **სიტუაციური და ლოგიკური ანალიზი;**

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის შინაარსობრივი რაობის განსაზღვრა და კონკრეტული ბუნდოვანი საკითხების გააზრება მოითხოვს კვლევის სტრატეგიას. როგორც თვისებრივი კვლევის ერთ-ერთი მეთოდი, **შემთხვევების ანალიზი** (case study) გაამყარებს დისერტაციის საგნის რელევანტურობას. ჰიპოთეზების დასადასტურებლად ან / და უარსაყოფად, ასევე კვლევის ძირითად შეკითხვებზე სრულყოფილი პასუხის გასაცემად გამოყენებულ იქნა კვლევის ორი მეთოდი: **შინაარსის (კონტენტ) ანალიზი** და **დისკურს ანალიზი.**

შემთხვევების შესწავლის მეთოდი სასურველია მაშინ, როდესაც ფორმულირებულია კითხვები "როგორ" ან "რატომ," ასევე, როდესაც კვლევა ეხება თანამედროვე ფენომენის კომპლექსურ შესწავლას. აღნიშნული ნაშრომის მიზანია პასუხი გასცეს კითხვებს, როგორია ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში? რა თავისებურებებით ხასიათდება აშშ-ის

საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში? და ასევე, რა მოცემულობა გვაქვს აშშ-ის და ევროკავშირის მიერ აბსტრაქტული ტერმინებით გამოხატული საგარეო პოლიტიკური მიზნების ფონზე საგარეო პოლიტიკური მოქმედების მიღმა არსებული მიზნებისა და პრიორიტეტების ამოსაცნობის მიმართულებით? კვლევა, ასევე, მიზნად ისახავდა თანამედროვე კონფლიქტების მიღმა, მათ საფარქვეშ არსებული განზოგადებადი მოვლენების გამოძიებას და თეორიულ სრულყოფას. შესაბამისად, კვლევის აღნიშნული მეთოდი საკვალიფიკაციო ნაშრომის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი ერთეულია.

კონტენტ ანალიზის გამოყენება სასურველია დოკუმენტების სისტემური ანალიზისათვის, სადაც ყველა დოკუმენტი უნდა იყოს გამოკვლეული და შეფასებული მსგავსი კატეგორიების საშუალებით, რაც ზრდის კვლევის ობიექტურობას.

დისკურს ანალიზის გამოყენება საშუალებას აძლევს მკვლევრებს დოკუმენტებში დაფიქსირებული პოზიციებით ახსნან სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური აქტორების ქცევა და მათ შორის ურთიერთქმედება. ნაშრომი „ევროკავშირის და

აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ეუთოს ფარგლებში და პოსტსაბჭოთა კონფლიქტები“ მოიცავს ეუთოს მონაცემთა ბაზაში არსებული დოკუმენტების გაანალიზებას, შესაბამისად, კონტენტ და დისკურს ანალიზი ჩვენ მიერ შესასწავლი საკითხების ახლებურად გააზრების მნიშვნელოვანი კომპონენტებია.

ნაშრომის მომზადებისას გამოყენებულ იქნა წყაროთა რამდენიმე ჯგუფი: **პირველ ჯგუფს** განეკუთვნება საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური დოკუმენტები. **მეორე ჯგუფს** შეადგენს ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო - კვლევითი შრომები და უცხოელი პოლიტოლოგებისა და კონფლიქტოლოგების გამოცემული სახელმძღვანელოები და სტატიები.

მონაცემთა ტიპები - მოვლენათა საფარქვეშ არსებული ფაქტების და მოვლენების კანონზომიერების სიბრტყეზე გასააზრებლად კვლევა განხორციელდება თვისებრივი კვლევის მეთოდებით. მონაცემები წარმოდგენილი იქნა სიტყვიერი ფორმით. შეგროვდა როგორც პირველადი, ასევე მეორეული წყაროები.

კვლევის თეორიული საფუძვლები

ნაშრომში გამოყენებულ იქნა შემდეგი თეორიული მიდგომა: კონცეფცია „უსაფრთხოების საზოგადოება,“ რომელიც შეიქმნა კარლ დოიჩის მიერ 1957 წელს და შემდგომში განვითარდა იმანუელ ადლერისა და მაიკლ ბარნეტის მიერ 1998 წელს. ნაშომის ძირითად კითხვებზე პასუხების გასაცემად გამოყენებულია საერთაშორისო ურთიერთობების „კონსტრუქტივიზმის“ თეორია. აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ანალიზისათვის, ასევე, გამოყენებულია თავდაცვითი რეალიზმი, თავდასხმითი რეალიზმი, ლიბერალიზმი, მარქსიზმი და ნეოკლასიკური რეალიზმის თეორიები.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

პოსტსაბჭოთა პოლიტიკური კონფლიქტების შესახებ არსებული ემპირიული კვლევები კონცენტრირებულია მოვლენათა იდენტიფიცირებაზე და არა ამ მოვლენათა საერთაშორისო განზომილების ანალიზზე. უკლებლივ ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანა არის ეუთო წევრი, შესაბამისად კონფლიქტები განვითარდა ეუთოს ტერიტორიაზე. პირველ რიგში, განხორციელდა ეუთოს ყოვლისმომცველი უსაფრთხოების მოდელის თოერიული ანალიზი და შემდგომ კონფლიქტების გავლენების კვლევა საერთო

უსაფრთხოების სისტემაზე. თემის ირგვლივ არსებობს ნაშრომები, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვთ თემატიკასთან. მათ შორისაა:

კარლ დოიჩის "Political Community and the North Atlantic Area: International Organization in the Light of Historical Experience."[1] კარლ დოიჩის უსაფრთხოების საზოგადოების მოდელი დაკავშირებულია სოციალური ინტეგრაციის პროცესთან და ეხება "ინტეგრირებულ ადამიანთა ჯგუფს". საერთაშორისო ორგანიზაციებში ინტეგრაციის ასპექტების განხილვისას, დოიჩი განსაზღვრავს მთავარ პრობლემას შემდეგნაირად: როგორ შეუძლიათ ადამიანებმა ისწავლონ ერთად შეთანხმებული მოქმედება ომის აღმოსაფხვრელად? ამ ცენტრალური პრობლემის მოგვარების თვალსაზრისით, დოიჩი ავითარებს „უსაფრთხოების საზოგადოების" მოდელს, რომელშიც ადამიანები ერთმანეთს პატივს სცემენ და ენდობიან და რომელიც სარგებელის მომტანია მისი წევრებისთვის.[2] წინამდებარე მოდელის იდეა შემდგომში განავითარა **იმანუელ ადლერმა და მაიკლ ბარნეტმა** სხვადასხვა

[1] Karl W. Deutsch, *Political Community and the North Atlantic Area: International Organization in the Light of Historical Experience*, (Princeton: Princeton University Press, 1957).

[2] იქვე, 5.

ნაშრომებში: **„A Framework for the Study of Security Communities,“ „Security Communities in Theoretical Perspective“ და „Seeds of Peaceful Change: the OSCE's Security-Community Building Model in Security Communities.“**[3] ავტორებმა საერთო იდენტობებით, ღირებულებებითა და მნიშვნელობებით, თავიდან განსაზღვრეს „უსაფრთხოების საზოგადოების“ კონცეფცია. მათ შეისწავლეს ევროკავშირი, აშშ - კანადისა და აშშ - მექსიკის კავშირები. ნაშრომში განვითარებული იდეები იძლევა ახალ ხედვას სახელმწიფოთა შორის მშვიდობიანი ურთიერთობების შესაძლებლობების შესახებ. კარლ დოიჩი, ისევე როგორც იმანუელ ადლერი და მაიკლ ბარნეტი, კონსტრუქტივისტულ იდეებს აჟღერებენ. კონსტრუქტივისტული ნააზრევი ეფუძნება **გროციუსის, ჰეგელის და კანტის** მსოფლმხედველობას. თეორიის შესახებ წერდნენ **ერნსტ ჰაასი და ჰედლი ბული.** მოგვიანებით **შნაიდერი, ნედ ლებოუსი და რობერტ ჯერვისი, ტედ ჰოპფი, მართა ფინმორმი, პიტერ კაცენშტაინი და ჯეფრი ჩეკელი.** თანამედროვე კონსტრუქტივიზმის აპოლოგეტად მიიჩნევა **ალექსანდრ**

[3] Adler, Emanuel, and Michael Barnet. „A Framework for the Study of Security Communities, In Security Communities,“ edited by Emanuel Adler and Michel Barnett, 29-68. Cambridge: Cambridge University Press, 1998.

ვენდტი. ნეორეალისტური საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის მიხედვით სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებს განსაზღვრავს ანარქიული საერთაშორისო სისტემა. ამ იდეის უგულვებელსაყოფად ვენდტმა 1992 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში განაცხადა, რომ „ანარქია არის ის, რასაც სახელმწიფოები ქმნიან მისგან."[4] ვენდტი ამით ხაზს უსვამს, რომ ანარქიული სისტემა რეპდროდუცირებული ფენომენია და თავად სახელმწიფოების მიერ სოციალურად კონსტრუირებული.

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ ავტორიტეტული მკვლევრების სია საკმაოდ ფართოა. მათ შორის გამოიყოფა: **Knud Erik Jorgensen, Aasne Kalland Aarstad, Edith Drieskens, Amelia Hadfield, Ian Manners, Richard G. Whitman, Ben Tonra, Thomas Christiansen, Michael E. Smith, Zaki Laïdi, Mario Telò, Frederik Ponjaert, Reuben Wong, Christopher Hill, Ingo Peters** და ა.შ. თანამედროვე ავტორებიდან შეგვიძლია აღვნიშნოთ **Stephan Keukeleire, Tom Delreux, Niklas Bremberg, August Danielson, Anna Michalski, Roberta N. Haar, Thomas**

[4] Alexander Wendt, „Anarchy is what States Make of it: The Social Construction of Power Politics", International Organization, Published By: The MIT Press, Vol. 46, No. 2 (Spring, 1992), 391-425.

Christiansen, Sabina Lange, Labinot Greiçevci და ა.შ. პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ ღირებული ნააზრევი ეკუთვნის **ნიკუ პოპესკუს,** რომელიც თავის წიგნში „EU Foreign Policy and Post-Soviet Conflicts: Stealth Intervention“ მიუთითებს, რომ ევროკავშირის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცის მიმართ არასაკმარისადაა ახსნილი და საჭიროებს მეტ განმარტებას.[5] ჩვენც ვეთანხმებით პოპესკუს და სწორედ სრულყოფილი სურათის დანახვის მცდელობამ, რათა მეტი სიცხადე იქნას შეტანილი ამ თემის ირგვლივ, გავლენა იქონია ჩემ მიერ წინამდებარე კვლევის წამოწყების პროცესში. პოპესკუს ანალიზის მიხედვით ევროკავშირი ცდილობს პოსტსაბჭოთა კონფლიქტები უფრო აქტიური როლის შესრულებას, თუმცა რამდენადმე შეზღუდულია რუსეთისგან შესაძლო ნეგატიური მოლოდინების ფონზე.

ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე კვლევები განახორციელეს: **Kenneth A. Oye, Donald S. Rothchild, Robert J. Lieber, Inderjeet Parmar, Michael Cox,**

---

[5] Nicu Popescu, “EU Foreign Policy and Post-Soviet Conflicts: Stealth Intervention,” Routledge Advances in European Politics, 2011, 2, https://bit.ly/3oKfR7d.

Louis René Beres, Warren I. Cohen, John Dumbrell, Hal Brands, Glenn P Hastedt, Dennis Merrill, Thomas Paterson, Tobi Remsch-მა და ა.შ. **Ian Bremmer** წიგნში „Superpower – Three Choices for America's Role in the World" ცდილობს პასუხი გასცეს კითხვაზე დარჩება თუ არა ამერიკა მსოფლიოს ერთადერთ ზესახელმწიფოდ უახლოეს მომავალში, ასევე როგორი სუპერძალა უნდა იყოს ის და ზოგადად რა როლი უნდა ითამაშოს აშშ-მ მსოფლიო პოლიტიკაში. ამერიკელ ავტორს მიაჩნია, რომ ამერიკის მთავრობის არათანმიმდევრული პოზიცია აბნევს აშშ-ის მოკავშირეებს, მის მოწინააღმდეგეებს და ასევე რიგით ამერიკელებს. ბრემმერი მიიჩნევს, რომ ამერიკელ ამომრჩეველს აღარ სურს აშშ-ის მიერ პასუხისმგებლობის აღება დანარჩენი მსოფლიოს მიმართ, დოლარის საზღვრებს მიღმა ხარჯვა, ამერიკელი ჯარისკაცების სიცოცხლის რისკის ქვეშ დაყენება და ამერიკული ღირებულებების ექსპორტი, რაც სხვებს შეიძლება არც კი უნდოდეთ.[6] აშშ-ის საგარეო პოლიტიკის განხილვისას გვერდს ვერ ავუვლით **ნოამ ჩომსკის,** რომელიც

[6] Ian Bremmer, "Superwover: Three Choices for America's Role in the World", in *Penguin Publishing Group,* 2015, 29.

ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრიტიკოსია.

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

სადოქტორო ნაშრომი **„ევროკავშირის და აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ეუთოს ფარგლებში და პოსტსაბჭოთა კონფლიქტები“** წარმოდგენილია A4-ფორმატით, 160 გვერდზე.

ნაშრომი შედგება შესავლის, სამი თავის, ცხრა ქვეთავისა და დასკვნისაგან. ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილია ბიბლიოგრაფია, რომელიც შედგება 114 წყაროსგან.

ნაშრომის ძირითადი შინაარსი

თავი I: საგარეო პოლიტიკის ანალიზი და ეუთოს ფორმირების ისტორიული და თეორიული საფუძვლები (ქვეთავები: 1.1. საგარეო პოლიტიკის ანალიზის თეორიული წინამძღვრები; 1.2. ეუთოს ჩამოყალიბების ეტაპები, საკვანძო

დოკუმენტები და კონცეფცია „უსაფრთხოების საზოგადოების“ თეორიული ასპექტები; 1.3. ეუთოს ლეგიტიმაცია რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე).

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია აშშ-ის და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში. კვლევისთვის შერჩეულ იქნა საქართველოს და უკრაინის პოლიტიკური კონფლიქტების შემთხვევები და მათზე დაკვირვებით მიღებული შედეგები რამდენადმე განზოგადდა პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა კონფლიქტებზე. ევროკავშირის უკლებლივ ყველა ქვეყანა, ასევე აშშ, ეუთოს მონაწილე სახელმწიფოები არიან. შესაბამისად, ეუთოს ფარგლებში მათი ოფიციალური დელეგაციების საქმიანობის და განცხადებები შესწავლა საფუძვლად დაედო კვლევის მიმდინარეობას.

ნაშრომის შესავალ ნაწილში გადმოცემულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, საკვლევი კითხვები, ჰიპოთეზები, კვლევის საგანი და ობიექტი, კვლევის მეთოდები, მეთოდოლოგია, სადისერტაციო ნაშრომის მეცნიერული სიახლე, ნაშრომის პრაქტიკული მნიშვნელობა, თემის ირგვლივ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა და დისერტაციის სტრუქტურა.

პირველი თავის პირველ ქვეთავში მოცემულია საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინის ერთ-ერთი ქვედარგის - საგარეო პოლიტიკის ანალიზის რაობა, მნიშვნელობა და სამეცნიერო ღირებულება. ამავე პარაგრაფში აღწერილია საგარეო პოლიტიკის ანალიზის აპრობირებული ხუთი ძირითადი მოდელი: რაციონალური აქტორის მოდელი, ბიუროკრატიული პოლიტიკის მოდელი ორგანიზაციული პროცესის მოდელი, დარგთაშორისი პოლიტიკის მოდელი და პოლიტიკური პროცესის მოდელი.

პირველი თავის მეორე ქვეთავის ფუნდამენტური ანალიტიკური ზრუნვის საგანია ეუთოს ჩამოყალიბების ისტორიული და თეორიული წანამძღვრებისა და დამფუძნებელი დოკუმენტების ანალიზი, რაც დაგვეხმარა აგვეხსნა ეუთოს ქცევის მოდელი ცვალებად მსოფლიოში. ნაშრომის ძირითად საკვლევ კითხვებზე პასუხების გასაცემად და შესაძლო პასუხების სრულყოფილად გასააზრებლად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება უშუალოდ ეუთოს მადეტერმინირებელი ფაქტორების განხილვას.

პირველი თავის მესამე ქვეთავში აღწერილია, რომ 2008

წლის რუსეთ-საქართველოს ომი 21-ე საუკუნეში იყო პირველი ომი ეუთოს ორ წევრ სახელმწიფოს შორის და ამავე დროს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის ფედერაციის მიერ სამხედრო ძალის პირველი გამოყენება მის საზღვრებს მიღმა. ომმა ეუთოს ლეგიტიმაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. 2014 წლის შემდეგ დასავლეთსა და რუსეთს შორის კონფრონტაციამ ეუთოს რელევანტურობა კიდევ ერთხელ დააყენა კითხვის ნიშნის ქვეშ და „დაძაბულობის შემცირების ნაცვლად, ის კონფლიქტის თეატრად იქცა.“[7] ჩნდება ლეგიტიმური კითხვები: აქვს თუ არა მომავალი ეუთოს? გაირიცხება თუ არა რუსეთი ორგანიზაციიდან? 2025 წელს ეუთოს დაარსებიდან 50 წელი სრულდება და სამეცნიერო-პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია ვიცოდეთ რა მოლოდინები არსებობს ორგანიზაციის მიმართ.

თავი II. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში (ქვეთავები: 2.1. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ისტორიული მიმოხილვა; 2.2. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა და

[7] Matthias Dembinski and Hans-Joachim Spanger, Pluralistic Peace: NewPerspectives for the OSCE?, IFSH (ed.), OSCE Insights 9/2021 (Baden-Baden: Nomos, 2022), 174, https://rb.gy/vpjoo0.

საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტები; 2.3. ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა და უკრაინის ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტები).

მეორე თავის პირველ ქვეთავში აღწერილია ევროკავშირის ფორმირების საკვანძო ეტაპები და მისი საგარეო პოლიტიკის ისტორიული მიმოხილვა.

მეორე თავის მეორე ქვეთავში გაანალიზებულია ევროკავშირის თანამშრომლობისა და კოორდინაციის შესაძლებლობები საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებულ პოლიტიკურ კონფლიქტებში. ასევე აღწერილია მიმართულებები, სადაც ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა წარმატებულია, ან პირიქით წარუმატებელი. ამავე პარაგრაფში, კონტენტ და დისკურს ანალიზის მეთოდებით შესწავლილია ეუთოში ევროკავშირის განცხადებები კონფლიქტებთან მიმართებაში.

მეორე თავის მესამე ქვეთავში იმავე კონტენტ და დისკურს ანალიზის მეთოდებით, შესწავლილია ეუთოში ევროკავშირის განცხადებები უკრაინის კონფლიქტებთან მიმართებაში.

თავი III. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში; 3.1. აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური ასპექტები; 3.2. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა და საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტები; 3.3. აშშ-ის საგარეო პოლიტიკა და უკრაინის ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტები.

მესამე თავის პირველ ქვეთავში აღწერილია აშშ-ის საგარეო პოლიტიკის საკვანძო მიმართულებები.

მესამე თავის მეორე ქვეთავში გაანალიზებულია აშშ-ის საგარეო პოლიტიკა საქართველოს ტერიტორიაზე განვითარებულ პოლიტიკურ კონფლიქტებში. შესწავლილია ეუთოში აშშ-ის დელეგაციის განცხადებები კონფლიქტებთან მიმართებაში.

მესამე თავის მესამე ქვეთავში კონტენტ და დისკურს ანალიზით შესწავლილია ეუთოში აშშ-ის დელეგაციის განცხადებები უკრაინის კონფლიქტებთან მიმართებაში.

დასკვნა

კვლევის მიზნები, ამოცანები და ფორმები განსხვავდება, თუმცა ისეთი ქვეყნებისთვის, როგორიცაა საქართველო და უკრაინა, სადაც საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, პოლიტიკურ კონფლიქტებთან მიმართებაში ევროკავშირის და აშშ-ის საგარეო პოლიტიკის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. დაკვირვების ობიექტად შერჩეულ იქნა ყველაზე დიდი მთავრობათაშორისი ორგანიზაცია - ეუთო. ეუთოს შერჩევა რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული. ორგანიზაცია გადაჭიმულია ვანკუვერიდან ვლადივასტოკამდე და ერთი ქოლგის ქვეშ აერთიანებს 57 სახელმწიფოს, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებს, აშშ-ს და რუსეთის ფედერაციას. ეუთოს შექმნის მთავარი მიზანი ცივი ომის პერიოდში აღმოსავლეთ-დასავლეთის კონფრონტაციის აღმოფხვრა და მათ შორის თანამშრომლობის განვითარების ხელშეწყობა იყო. საბჭოთა კავშირი დაიშალა, დარჩა მისი სამართალმემკვიდრე რუსეთი და ამ ეტაპზე ეუთოს ერთ-ერთი მთავრი ფუნქცია აშშ-რუსეთის ურთიერთობების დარეგულირება რჩება. როგორც კვლევით დადასტურდა, ეუთო ხშირ შემთხვევაში არაეფექტურია და სერიოზულად დგას მისი ლეგიტიმაციის საკითხი.

კვლევაში სიღრმისეულად განხილულ იქნა სამი ძირითადი მიმართულება, რაც ლოგიკურ ბმაშია კვლევის ძირითად ხაზთან. გაანალიზებულია ეუთოს რეგიონის ფორმირების თეორიული ასპექტები და სახელმწიფოთა თანამშრომლობის ეტაპები, რათა ომის დაწყება არ იქნას მიჩნეული, როგორც დავების გადაწყვეტის ერთ-ერთი საშუალება. სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ანალიზი მოხდა არამხოლოდ ტრადიციული მეთოდოლოგიით, არამედ ახლებური, საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის და ასევე დიპლომატიური მისიებისა და მაღალი დონის სამთავრობო დელეგაციების საქმიანობის და განცხადებების შესწავლის საფუძველზე. შესწავლილ იქნა ევროკავშირისა და აშშ-ის, როგორც ეუთოს ძირითად მოთამაშეთა საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში (საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტების მაგალითზე). ასევე, გამოკვეთილია მსგავსებები და განსხვავებები ევროკავშირისა და აშშ-ის საგარეო პოლიტიკურ დისკურსსა და მათ მიერვე ეუთოს ფორმატში დოკუმენტებზე დაფიქსირებულ პოზიციებს შორის. ეუთოს მონაწილე სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების კვლევა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში მწვავედ დგას კვლევის დღის

წესრიგში. საკვლევი თემის ინოვაციურობა განაპირობა იმ ფაქტმა, რომ პოსტსაბჭოთა კონფლიქტები არაა შესწავლილი ეუთოს კონტექსტში. განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ კონფლიქტები დღემდე მოუგვარებელია, ღრმავდება და თან სდევს განახლების ფაზები. შესწავლილი საკითხებით ვეცადეთ ადგილი არ დაგვეტოვებინა მეცნიერულად არაობიექტური და პოლიტიკურად მიკერძოებული ინტერპრეტაციებისთვის. კვლევის ინოვაციურობა იმ მოცემულობამაც განაპირობა, რომ 2025 წელს ეუთოს დაარსებიდან 50 წელი სრულდება და კვლევაში მოხდა ეუთოს ლეგიტიმაციის შენარჩუნების პრობლემების იდენტიფიცირება.

ნაშრომში დასმულ იქნა სამი ძირითადი საკვლევი კითხვა. კვლევის პროცესში მოძიებულ იქნა ეუთოს ელექტრონულ არქივში განთავსებული 21,000 მდე დოკუმენტი, საიდანაც ამოღებულ იქნა აბსოლუტურად ყველა განცხადება, რაც ეხებოდა საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიაზე განვითარებულ კონფლიქტებს. კვლევისთვის სიღრმისეულად შესწავლილ იქნა ორასამდე საჯარო განცხადება. მათ შორის, ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევისთვის რელევანტური აღმოჩნდა ასამდე დოკუმენტი.

შესწავლილ მასალებზე დაყრდნობით ნაშრომის სამივე ჰიპოთეზა დადასტურდა.

კითხვაზე თუ რა ისტორიულმა და თეორიულმა წანამძღვრებმა განაპირობა ეუთოს ფორმირება და რამდენად ლეგიტიმურია ორგანიზაცია თანამედროვე გამოწვევების ფონზე? გამოიკვთა, რომ ეუთოს ჩამოყალიბება განპირობებული იყო მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურის რამდენადმე პოზიტიურად გარდაქმნის მოლოდინით. ასევე, ეუთო მნიშვნელოვნად დადებით გავლენას ახდენს აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობების გაუმჯობესებაზე, თუმცა იმ ფონზე, რომ დაძაბულობის შემცირების ნაცვლად ეუთო კონფლიქტის თეატრად იქცა, მისი ლეგიტიმაციის საკითხე საკმაოდ მწვავედ დგას.

კითხვაზე თუ როგორ და რამდენად ხსნის ევროკავშირის ურთიერთობა ეუთოსთან მის მიერ პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში აბსტრაქტული ტერმინებით გამოხატული საგარეო პოლიტიკური მიზნების ფონზე, საგარეო პოლიტიკური მოქმედების მიღმა არსებული მიზნებისა და პრიორიტეტების ამოცნობას? გამოიკვეთა, რომ ევროკავშირის ჩართულობა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებში მოკლებულია ყოვლისმომცველ სტრატეგიულ ხედვას.

ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნისთვის რუსეთთან გარკვეულწილად ახლო ურთიერთობები, რაც ემყარება მათ ისტორიულ კავშირებს და თანამედროვე ურთიერთობებს, უალტერნატივოა. ევროპული კომპანიების ნაწილს მსხვილი ბიზნეს ინტერესები აქვთ რუსეთში და რუსეთის არგაღიზიანების პოლიტიკის მხარდამჭერებად გვევლინებიან. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ეფექტურობა საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტებში მნიშვნელოვნად შემცირებულია. 2008 წლის ომის პერიოდში ეუთოში ევროკავშირის განცხადებები ზოგადი იყო და სიტყვა „ოკუპაციაც“ არ იქნა გმოყენებული. ევროკავშირმა რუსეთის ქმედებები აღიქვა „არაპროპორციული“ ძალის გამოყენებად და არა ოკუპაციად ან სამხედრო აგრესიად. რუსეთის მიმართ არ იქნა დაწესებული სანქციები. ევროპული სახელმწიფოები, რომლებიც შორს მდებარეობენ სამხრეთ კავკასიისგან არ აქვთ დიდი ბიზნეს ინტერესები აღმოსავლეთ სამეზობლოში, შესაბამისად მათთვის აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების პრობლემები არც თუ ისე მნიშვნელოვანია. კვლევის მიზანიც იმის დადგენა იყო თუ რა განსხვავებაა ვაშინგტონისა და ბრიუსელის პოლიტიკურ დისკურსსა და მათ Realpolitik-ას შორის. აშშ-ც

და ევროკავშირიც სქართველოს მეგობრები და პარტნიორები არიან, რომლებიც დაინტერესებულნი არიან საქართველოში დემოკრატიის, სტაბილურობის და ეკონომიკის განვითარებით, თუმცა ყველა ქვეყანას თავისი ეროვნული ინტერესები აქვს და თუ მკვლევარი, პოლიტიკოსი, საჯარო მოხელე ან ნებისმიერი რიგითი მოქალაქე იხელმძღვანელებს მხოლოდ ზოგადი დისკურსით, მარცხი ნებისმიერ დონეზე გარდაუვალია.

საქართველო ევროკავშირის მიერ კონფლიქტების მართვის წარმატებული მაგალითი ნამდვილად არაა. თანამშრომლობისა და კოორდინაციის შესაძლებლობებიც, ასევე, ევროკავშირისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემური სფეროა. ევროკავშირი არის ფუნდამენტურად გაყოფილი რუსეთისადმი მეგობრულ და სკეპტიკოს ბანაკებს შორის და დღემდე არაა დაძლეული განსხვავებული პრეფერენციები რუსეთის მიმართ გასატარებელი პოლიტიკის მიმართ. ევროკავშირში არ არსებობს კონფლიქტების მართვის საყოველთაოდ შეთანხმებული სტრატეგია, რასაც ემატება ინტეგრირებული საგარეო პოლიტიკის სტრუქტურის არ არსებობა. ევროკავშირის ინსტიტუტები მათზე მორგებული პრიორიტეტებით მონაწილეობას იღებენ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შემუშავებაში. ევროკავშირს არ გააჩნია

პოლიტიკური კონფლიქტების მართვის რეალური ინსტრუმენტები და კონფლიქტების მართვის თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი სტრატეგია. მისი სისუსტის ერთ-ერთ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს სამხედრო ძალის არარსებობა. ევროკავშირი პრიორიტეტს ანიჭებს კონფლიქტების გარშემო მუშაობას, ვიდრე უშუალოდ კონფლიქტების მართვის პროცესში ჩართვას. ხშირ შემთხვევაში ევროკავშირის ბიუჯეტის პატარა კონტრიბუტორების ინტერესები ეწირება ყველაზე დიდ კონტრიბუტორთა ეროვნულ ინტერესებს. კონფლიქტების მართვის კონტექსტში ერთ-ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორია, ასევე, ევროკავშირის შიგნით არსებული ინსტიტუციური მეტოქეობა.

კითხვაზე თუ რა თავისებურებებით ხასიათდება აშშ-ის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში და რამდენად განსხვავდება მისი გაცხადებული ზოგადი საგარეო პოლიტიკის დისკურსი ეუთოს ფორმატში დოკუმენტებზე აღბეჭდილი საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების, შინაარსისა და ფორმებისაგან? გამოჩნდა, რომ განსხვავება პოლიტიკურ დისკურსსა და Realpolitik-ას შორის ეუთოში აშშ-ის მისიის განცხადებების კონტენტ და დისკურს ანალიზითაც დადასტურდა.

ოფიციალური ვაშინგტონი 2008 წელს უპირობოდ უჭერდა მხარს საქართველოს მაშინდელ ხელისუფლებას რუსეთთან ბრძოლაში, თუმცა ომის დამთავრებიდან რამდენიმე თვეში დოკუმენტებზე გაჩნდა ხელისუფლების მიერ ომის დროს გადადგმული ნაბიჯების რამდენადმე კრიტიკული შეფასებები. 1990-იანი წლების განმავლობაში შეერთებული შტატები დაინტერესებული იყო ახლად დამოუკიდებლობა მიღებული სახელმწიფოების ბედით, თუმცა ძირითადად ფოკუსირებული იყო უფრო მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ მოვლენებზე - კონფლიქტები ბალკანეთში, რუსეთის პოსტსაბჭოთა ტრანზიცია, საბჭოთა კავშირის ბირთვული არსენალის ბედი და ჩინეთის აღზევება. 2008 წლის რუსეთსაქართველოს ომის შემდეგ აშშ ნაკლებად იყო დაინტერესებული ახალი ინიციატივების წამოწყებით. ვაშინგტონი უფრო მეტად ცდილობდა სტატუს კვოს მართვას. ომის შემდგომ ამერიკის საქართველოსთან ურთიერთობის კვაკუთხედია არაღიარების პოლიტიკის მხარდაჭერა. საქართველოსა და უკრაინის ტერიტორიაზე განვითარებულ პოლიტიკურ კონფლიქტებში აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ანალიზით გამოიკვეთა, რომ უმეტესად ვაშინგტონი არ იყო დაინტერესებული აღნიშნულ ქვეყნებთან მაღალი დონის სტრატეგიული

თანამშრომლობით. ამის მიუხედავად, აშშ აგრძელებდა განსაკუთრებით უკრაინის მხარდაჭერას.

ინფორმაცია ნაშრომის აპრობაციის შესახებ

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში დაცულ იქნა სამი კოლოკვიუმი და ერთი სემინარი.

სამი კოლქვიუმი (თითოეული არის სადისერტაციო ნაშრომის ნაწილი):

კოლოქვიუმი - I. ეუთოს ფორმირების კონცეპტუალური საფუძვლები და ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში;

კოლოქვიუმი - II. ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა პოსტსაბჭოთა კონფლიქტებთან მიმართებაში;

კოლოქვიუმი - III. ეუთოს ფორმირების კონცეპტუალური საკითხები და ორგანიზაციის ლეგიტიმაცია რუსეთ-უკრაინის ომის კვალდაკვალ.

თემატური სემინარი (ეძღვნება დარგის/ქვედარგის აქტუალურ საკითხს და არ წარმოადგენს სადისერტაციო თემის ნაწილს):

- კასპიის ზღვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა: ირანის ურთიერთობები კასპიის ზღვის ქვეყნებთან.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შინაარსი გამოქვეყნებულია შემდეგ პუბლიკაციებში:

1. „ეუთოს 'უსაფრთხოების საზოგადოების' მოდელი: თეორიიდან პრაქტიკულ კონტექსტამდე", რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი ,,პოლიტო/LOGOS", N5, თბილისი, 2022.
2. „ეუთოს ლეგიტიმაცია რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე", ქართველი მეცნიერები, Vol. 5 Issue 1, 2023, https://doi.org/10.52340/gs.2023.05.01.10.
3. „აშშ-ის საგარეო პოლიტიკა და საქართველოში განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტები

(ეუთო-ში აშშ-ის მისიის საქმიანობის კონტექსტში)“, რეფერირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „გარემო და საზოგადოება, 2023.

საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები

1. ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდისა და აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული ქუთაისის VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, ქუთაისი, 2023. თემა - ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა და უკრაინის ტერიტორიაზე განვითარებული პოლიტიკური კონფლიქტები.

Cucasus International University

Faculty of Social Sciences and Humanities

Doctoral Educational Program in Political Sciences

Rigt of Authorship

Lasha Kantelashvili

EU and US Foreign Policy within the framework of the OSCE and post-Soviet Conflicts

Abstract dissertation Presented for degree of Doctor of Political Science

Tbilisi, 0142, Georgia

2024

Scientific Supervisors:

Soso Vakhtangashvili - Doctor of History, Associate Professor of Caucasus International University.

Davit Tabatadze - Doctor of International Relations and European Studies, Associate Professor of Caucasus International University.

Official Reviewers:

Vaxtang Maisaia - Doctor of Political Science, Professor of Caucasus International University.

Ketevan Jijeishvili - Doctor of Political Science, Associate Professor of Georgian Technical University.

The defense of the dissertation will take place on May 22, 2024, at 14:00 in the Dissertation Council of the Caucasus International University Faculty of Social Sciences and Humanities.

Address: 0141, Tbilisi, Chargali Street N 73, Caucasus International University, Building I, Room 305.

The dissertation is available in the library of Caucasus International University.

Secretary of the Dissertation Board - Petre Mamradze, Associate Professor of Caucasus International University.

Annotation

Based upon a comprehensive analysis of the multilateral OSCE archive documents, this work analyzes the foreign policy of the key players of the OSCE (EU, U.S.) akin to the post-Soviet conflicts. This work develops the idea that the conflicts unleashed after the collapse of the Soviet Union are not merely ethnic and/or local level conflicts but they have an international dimension and affect the international security system. The work is an attempt to deconstruct the impact of post-Soviet conflicts into abstract elements in order to formulate a synthetic theoretical model and generalize the results of the research on the conflicts of Georgia and Ukraine to other conflicts.

There are three core directions analyzed in the research which, in turn, are linearly connected to the central idea of the research. The first level includes the analysis of the theoretical aspects of

the formation of the OSCE region to determine on the basis of what ideas states develop cooperation and strive to level war as a social institution and one of the means of dispute resolution. The progress achieved in the last decade vis-à-vis implementing the concept of "Security Community" into practice by the OSCE Participating States is thoroughly discussed in the same aspect. The second direction of the research analyzes the foreign policy of the European Union and the U.S. as the core players of the OSCE in relation to the post-Soviet conflicts (on the example of the conflicts in Georgia and Ukraine). By the next line of research the author strives to determine what is the situation behind the general discourse of "security defender" announced by Americans and Europeans as well as what are the similarities and differences between the foreign policy discourse of the European Union and the United States and their positions on the documents in the OSCE format. As a result of the research it has been ascertained that the OSCE is a “simulacrum,” a simulated model of an international organization that is not able to respond to the challenges and whose purpose of existence has been questioned since the end of the Cold War. Beyond this, however, the OSCE with innovative approaches contributes to the restoration of East-West relations. While studying the EU's foreign policy, it was

determined that the development of close bilateral relations between some EU member states and Russia reduces the implementation of the EU's effective foreign policy tasks in post-Soviet conflicts. As for U.S. foreign policy priorities, resolving the conflicts in the South Caucasus is not a matter of vital interest for Washington.